სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები ახალგაზრდებისთვის

ასოციაცია „ჰერა XXI“ ახალგაზრდებისთვის

სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის, უფლებების შესახებ ახალგაზრდების ინფორმირებულობა, მათი ჩართულობა და ახალგაზრდული აქტივიზმის გაძლიერება მოხალისეობაზე დაფუძნებული არასამთავრობო ასოციაცია „ჰერა ოცდაერთის'' სტრატეგიული მიმართულებაა.

ასოციაცია ხელს უწყობს ქვეყანაში მოხალისეთა მოძრაობის გაძლიერებას, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების რეალიზებას: ადვოკატირებით, ფორმალური და არაფორმალური განათლებით, ახალგაზრდული კეთილგანწყობილი სერვისების მიწოდებით, რათა საქართველოში მცხოვრებ ახალგაზრდებს ჰქონდეთ ყოვლისმომცველი ცოდნა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ, შეეძლოთ გააკეთონ თავისუფალი ინფორმირებული არჩევანი, რაც უზრუნველყოფს მომავალი თაობის კეთილდღეობას და პროგრესული, ჯანსაღი საზოგადოების ფორმირებას.

მიღწევები

მოხალისეობრივად ორგანიზაციაში ჩართულია 1350 მოხალისე.

234-მდე აქტივისტია ჩართული ორგანიზაციის მიერ დაგეგმილ აქტივობებში.

თანასწორ-განმანათლებლად გადამზადდა 650 ახალგაზრდა და ჩატარდა 5295 სესია.

რატომ არის მნიშვნელოვანი ახალგაზრდებისთვის სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები?

- ✓ სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის თანახმად მნიშვნელოვანია, რომ ახალგაზრდები ფლობდნენ ინფორმაციას სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების - სრჯუ საკითხების შესახებ. ეს ხელს შეუწყობს ახალგაზრდებს შორის აბორტებისა და სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების, მათ შორის, აივ ინფექციის გავრცელების შემცირებას, ასევე ადრეული ქორწინების, ნაადრევი ორსულობის და მასთან დაკავშირებული რისკების, დედისა და ბავშვის ჯანმრთელობაზე უარყოფითი შედეგების თავიდან აცილებას.

- ✓ 15-29 წლის ასაკობრივ კატეგორიაში აბორტების ჯამური რიცხვი შეადგენს 10,243, რაც აბორტების საერთო მაჩვენებლის 45.9%-ია.

- ✓ 15-29 წლის ახალგაზრდების 89%-ს სმენია აივ/შიდსის შესახებ, თუმცა, მათგან მხოლოდ 17,4%-ს აქვს სწორი ინფორმაცია, თუ როგორ გადადის ინფექცია.

მიზნობრივი ჯგუფები:

- ➢ მოზარდები და ახალგაზრდები;
- ➢ სტუდენტები;
- ➢ სოფლად მცხოვრები გოგონები და ბიჭები;
- ➢ დევნილი და იძულებით გადაადგილებული ახალგაზრდები;
- ➢ სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი მოზარდები და ახალგაზრდები.
- ➢ სოციალურად დაუცველი ახალგაზრდები.

სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები ახალგაზრდებისთვის

ასოციაცია „ჰერა XXI-ის“ ახალგაზრდული ჯგუფები

ჯგუფების მიზანია ხელი შეუწყონ ახალგაზრდების სრულფასოვანი განვითარებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნას, სადაც ისინი შეძლებენ საკუთარი პოტენციალის სრულ რეალიზებასა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში აქტიურად ჩართვას, ასევე ახალგაზრდების სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის და უფლებების საკითხების წინ წამოწევა, რათა გაძლიერდეს ახალგაზრდების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღებისა და იმპლემენტაციის პროცესში, როგორც ეროვნულ, ისე ადგილობრივი თვითმმართველობების დონეზე.

სრჯუ საკითხებში სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის ეფექტიანობის მისაღწევად აუცილებელია პროცესში სახელმწიფოს აქტიური მონაწილეობა და მხარდაჭერა ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე.

ახალგაზრდული პოლიტიკის მიზნებისა და ამოცანების ეფექტური განხორციელების უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, ახალგაზრდების ადვოკატირება ადგილობრივ დონეზე, რადგან მათ უკეთ შეუძლიათ თავიანთი თაობის და თემის აქტუალური საკითხების გაანალიზება და საკუთარ საჭიროებებებზე მორგებული ინიციატივების შემოთავაზება პოზიტიური ცვლილებების მისაღწევად. **ახალგაზრდული ჯგუფების ამოცანაა - ისმოდეს ახალგაზრდების ხმა** ყველა დონეზე, რათა ხელი შევუწყოთ ახალგაზრდების ჩართულობას, საჭიროებების გამოვლენიდან - საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

ახალგაზრდული ჯგუფები

ასოციაცია „ჰერა XXI-ის“ ბაზაზე ოთხი ახალგაზრდული ჯგუფი საქმიანობს: თბილისში, ხობში, ქუთაისსა და ახალციხეში.

ახალგაზრდები ჩართული არიან ასოციაციის საქმიანობაში, სხვადასხვა ტიპის საინფორმაციო-საგანმანათლებლო თუ გასართობ-შემეცნებითი აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში.

თბილისი

ხობი

ქუთაისი

ახალციხე

ახალგაზრდული ჯგუფების საქმიანობა

ასოციაცია "ჰერა XXI,, არის საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის ახალგაზრდული პოლიტიკის მონიტორინგისა და განვითარების სამუშაო ჯგუფის წევრია.

- ჩატარდა 100-მდე კამპანია;
- ჩატარდა 85 საინფორმაციო საგანმანათლებლო შეხვედრა;
- 7 მინი-ვიქტორინა;
- 2 ფორუმ თეატრი;
- 1446 ახალგაზრდა დარეგისტრირდა მოხალისედ.

ორგანიზაციის რესურსები და პლატფორმები ახალგაზრდებისთვის

ონლაინ სასწავლო კურსი თანასწორ-განმანათლებელთათვის - "ყველაფერი ერთ სასწავლო კურსში"

ახალგაზრდული კეთილგანწყობილი სერვისები

- იურიდიული კონსულტანტისა და
- ექიმი-რეპროდუქტოლოგის ონლაინ კონსულტაცია;

"SELF" ბანაკი.

არაფორმალური განათლების სახელმძღვანელო - **ყველაფერი ერთ სასწავლო კურსში**

გახდი მოხალისე და მიიღე

- პროფესიული ზრდა
- სამუშაო გამოცდილება
- საზოგადოებრივი ცნობადობა
- დასაქმების პერსპექტივა
- შემდგომი თაობებისთვის გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობა;

ქსელები და პლატფორმები

- საერთაშორისო ახალგაზრდული ქსელების **ASTRA Network; YSAFE, YOUACT, YPEER** წევრი;
- საქართველოს ახალგაზრდულ ორგანიზაციათა ნაციონალური საბჭოს წევრი (**NCYOG**)

TOT -ტრენინგები მომავალი თანასწორ-განმანათლებლებისთვის.

1998 წლიდან ჰერა XXI აქტიურად მუშაობს სექსულური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების სფეროში. კვლევითი საქმიანობა, მონიტორინგი, ადვოკატირება და ცნობიერების ამაღლება არის ძირითადი საქმიანობა პროგრამების იმპლემენტაციისთვის.

სოციაცია ჰერა XXI // გამსახურდიას გამზ, II კორპ, შენობა 9, ბინა №2 თბილისი // +995 32 14 28 51 hera- youth.ge

ჩვენი ღირებულებებია
უფლებები | გენდერული თანასწორობა | ინოვაცია | გამჭვირვალობა| ახალგაზრდებისა&მოხალისეთა ჩართულობა